საქართველო

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

განკარგულება

N 21 14 06/11/2019

**2020 წლის ახალქალაქის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონების თაობაზე**

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის #23 დადგენილების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნას 2020 წლის ახალქალაქის მუნიციპალიტეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებები დანართის შესაბამისად.

2.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში ახალქალაქის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალქალაქი, მ.მაშტოცის ქ. №110).

| რეგიონი | მუნიციპალიტეტი | 2020 წლის დაფინანსებული პროექტების ჩამონათვალი | პროექტის კატეგორია | ღირ. ფონდი | | | მოსახლეობა | საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია | ტენდერი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება | რეგ-ფონდი | ჯამი | | | | |
| 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 11 | 12 | 13 |
| სამცხე-ჯავახეთი | ახალქალაქი | ახალქალაქი-კარწახი (თურქეთის საზღვარი) საავტომობილო გზიდან ვაჩიანი-ფარავანი-ალასტანი-ტურცხი-სულდა-გოგაშენის გზის რეაბილიტაცია (III ეტაპი) | გზა | 23,243 | 441,627 | 464,870 | 2,700 | მზად არის. | კი | 1200 მ. |
| სამცხე-ჯავახეთი | ახალქალაქი | ახალქალაქი-კარწახი (თურქეთის საზღვარი) საავტომობილო გზიდან ვაჩიანი-ფარავანი-ალასტანი-ტურცხი-სულდა-გოგაშენის გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი) | გზა | 61,553 | 1,169,509 | 1,231,062 | 2,700 | მზად არის | კი | დასრულებით 1850 მ |
| სამცხე-ჯავახეთი | ახალქალაქი | ახალქალაქი-ართიკი-გუმბრი საავტომობილო გზიდან ზაკი-ბეჟანოვკა-მურჯახეთი-კარზახის გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი) | გზა | 20,250 | 384,750 | 405,000 | 2,500 | მზად არის | კი | 650 მ. |
| სამცხე-ჯავახეთი | ახალქალაქი | ახალქალაქი-კარწახი (თურქეთის საზღვარი) საავტომობილო გზიდან ხულგუმო-მიაშნიკოვო-კოთელია-ფარავანი-ხოსპიოს გზის რეაბილიტაცია (სტეფანწმინდის გზა) | გზა | 60,111 | 1,142,115 | 1,202,226 | 2,000 | მზად არის | | 2680 მ. |
| | | | ჯამი | 165,157 | 3,198,001 | 3,330,156 | 9,900 | | | |